

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის #123/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

### # 16 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

18.03.2024წ

15:00 სთ, თსუ II კორპ. ოთახი #202

სხდომას კომისიის წევრებიდან ესწრებოდა 5 წევრი:

- ა) მამუკა მაისურაძე - სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) გიორგი ბეზარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) დენიტა ბიბილეიშვილი - სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) მზია ციცაგი - თსუ-ს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;
- ე) გიორგი ჯიბუტი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორი;

#### დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ბ“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე თინათინ ბუკიასა და ელენე კაცაძის შეფასების პირველი, მეორე და მესამე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთ-შეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

#### მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მამუკა მაისურაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების სამივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაფასეს კონკურსის სამივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის** ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ბ“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში (I საშტატო ერთეული) საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა თინათინ ბუკიამ და ელენე კაცაძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობით დადასტურებით გადმოზარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

**თინათინ ბუკიამ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი შესაბამისობა) მიიღო საშუალო შეფასება - წარმოდგენილი კონცეფციის სტრუქტურა, სულისკვეთება, ორიენტირები, მიუხედავად სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერებისა (ანკეტის მიხედვით), არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. (ოქმი#3).

**ელენე კაცაძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას მიიღო მაღალი შეფასება, ხოლო კატეგორიაში ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას საშუალო შეფასება დაიმსახურა; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) კატეგორიაში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო კატეგორიაში ხელს შეუწყობს თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას საშუალო შეფასება დაიმსახურა. (ოქმი#3)

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

**თინათინ ბუკიამ** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ქიმია-ბიოლოგიის

ფაკულტეტი (1997-2003წწ) ქიმიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და ქიმიკოს-ექსპერტის, ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაციით; 2003-2005 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მაგისტრანტი და 2005 წელს მიენიჭა ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ქიმიკოსის კვალიფიკაციით. 2016 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ბენზიმიდაზოლები და დიპეპტიდები; სინთეზი და კვლევა“ და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2011 წლიდან დღემდე არის მეცნიერ მკვლევარი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში; 2015 წლიდან დღემდე არის ქიმიური ლაბორატორიების ინსტრუქტორი, (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში); 2015 წლიდან დღემდე ლაბორატორიების და საწყობის მენეჯერი (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში); 2019 წლიდან დღემდე უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვლ.ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში; 2020 წლიდან დღემდე ლაბორატორიის მენეჯერი/გამგე (დამხმარე პერსონალი) ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამა (თსუ); 2020 წლიდან დღემდე მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი. 2022 წლიდან დღემდე მოწვეული პედაგოგი, ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამა (თსუ); 2023 წლიდან დღემდე მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (თსუ). აქვს 7 პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. ციტირების ინდექსი Google Scholar-33, h ინდექსი-4; Scopus- 25, h-ინდექსი 3. თ.ბუკია ჩართულია სამეცნიერო კვლევებში, არის რამდენიმე გრანტის ძირითადი ან დამხმარე შემსრულებელი, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ; კარლსრუეს ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ზაარლანდის უნივერსიტეტი - გერმანია).

როგორც გასაუბრების დროს კონკურსანტმა აღნიშნა იგი ავითარებს მულტიკომპონენტური რეაქციების მიმართულებას, თვლის რომ მულტიკომპონენტური რეაქციები ძალიან ახალი მიდგომა და ახალი გამოწვევაა (ამ რეაქციებს 150 წლიანი ისტორია აქვს). ხაზს უსვამს, რომ საჭიროა რეფორმების გატარება. გადაწყვეტილი აქვს დაამუშავოს და გამოსცეს მსოფლიოს პროგრესული უნივერსიტეტების ლიტერატურის საფუძველზე ახალი სახელმძღვანელოები ორგანულ ქიმიაში, სადაც მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან თეორიასა და პრაქტიკას რეაქციების მექანიზმებზე აქცენტირებით, თუმც ვერ ასახელებს ერთის გარდა სხვა უცხოურ სახელმძღვანელოს და ამბობს რომ სხვა ავტორები არ ახსოვს.

ბუნდოვანია როგორ აპირებს ახალი სახელმძღვანელოს შექმნას უკვე არსებული უცხოური სახელმძღვანელოების საფუძველზე, როდესაც არა აქვს სტრატეგია

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე კომისიის წევრის შენიშვნაზე, რომ კარგი სახელმძღვანელოს დაწერა რთულია, რადგან ორგანული ქიმიის სახელმძღვანელოები დიდი მოცულობისაა და ვერ ანაზღაურებს შრომის საფასურს, სტუდენტებს არა აქვთ შესაძლებლობა სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი საფასური გადაიხადონ, მისი გაღიზიანება გამოიწვია. აპლიკანტს არასათანადო წარმოდგენა აქვს უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მართვის სისტემაზე, რადგან ხშირად ამბობს „მე ვიშოვი რეაქტივებს“, „ჩემს ლაბორატორიაში“, „გავუნაწილებ იმ რეაქტივებს, რომელიც სან-დიეგოს უნივერსიტეტისთვის არის განკუთვნილი“. არღვევს შრომის კოდექსს, რადგან კომისიის წევრის კითხვაზე, როგორ ასწრებს 6 სხვადასხვა პოზიციაზე და საგრანტო პროექტში მოვალეობების შესრულებას, მაგალითად ამბობს, რომ კიბერნეტიკის ინსტიტუტში უფროსი არ სთხოვს სამსახურში სიარულს. დისკრიმინაციულია მისი გამონათქვამი „ქართული სექტორის სტუდენტებს აღარ შემოვუშვებ ჩემთან (ჩემს კვლევით ჯგუფში)“, რადგან არ არიან მზად კვლევებისათვის“ (არ ითვალისწინებს რესურსების განსხვავებას და სხვა გარემოებებს მაგ. პანდემიის დროს), გასაუბრებისას არ გამოიკვეთა მისი, როგორც „გუნდური მოთამაშის“ თვისება. ის გვპირდება, რომ ძირეულად შეცვლის ორგანული ქიმიის მიმართულელებაზე სწავლების სისტემას, გეგმავს ლაბორატორიული სამუშაოების გაუმჯობესებას. სასემინარო მუშაობის განახლებას იმ ფორმატით, როგორც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებშია, თუმცა მას არ უსაუბრია არც მომავალი კოლეგების და სხვა პროფესორების ჩართვაზე ამ პირობებში, რომელთა უშუალო მონაწილეობის გარეშე ცვლილებები ვერ განხორციელდება. მისი მთავარი გამოწვევაა ორგანული ქიმიის აღორძინება, ლაბორატორიულ კვლევებში, საერთაშორისო ფორუმებში სტუდენტების ჩართვა.

გასაუბრების დროს თ.ბუკიას წარმოდგენილი ხედვა არ იყო დამაჯერებელი. დაპირებები არ იყო საფუძვლიანად არგუმენტირებული, უცხოეთიდან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებაზე იყო დამყარებული და არ ითვალისწინებდა რეალურად არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

**ელენე კაცაძემ** დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტი (1988-1994წწ) ქიმიკოსის, ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 1999-2001 წლებში იყო თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტის ასპირანტი. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „სხვადასხვა აზოტოვანი ჰეტეროციკლების შემცველი ინდოლური სისტემების სინთეზი და კვლევა: ინდოლის ფოტოქრომული და ნუკლეინის მჟავებთან ურთიერთქმედების უნარის მქონე წარმოებულები“. 1996-2005 წლებში თსუ-ის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა კათედრის ლაბორანტია; 2005-2007 თსუ-ს ელემენტური ანალიზის სასწავლო ლაბორატორიის გამგე; 2009 წელს-ორგანული ქიმიის ინსტიტუტი. ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია - პოსტ-დოკი. 2010-2016 სამედიცინო

ქიმიის დეპარტამენტი, ფარმაციის ფაკულტეტი, თსსუ, მოწვეული პედაგოგი. 2019 წ. მოწვეული მასწავლებელი, Swiss American Academy, შვეიცარია. 2016 წლიდან დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. 2010 წლიდან კითხულობს ლექციებს, ატარებს სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს სხვადასხვა დისციპლინაში. აქვს პუბლიკაციები (2) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. ციტირების ინდექსი 3 (Google scholar); 1-ი ინდექსი. მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, პროექტის ხელმძღვანელად, კოორდინატორად, კონსულტანტად. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია; Swiss American Academy, შვეიცარია)

ე. კაცაძის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში კარგად არის გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, იგი დამაჯერებლად მსჯელობს მისი სამეცნიერო ინტერესებისა და მომავალი გეგმების შესახებ.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ იგი წლების განმავლობაში ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით აკმაყოფილებენ თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

ე.კაცაძემ ისაუბრა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო გრანტებით მუშაობდა გერმანიაში სამეცნიერო მიმართულებით, ინდოლის ნაწარმებზე რომელთაც ახასიათებს ფოტოქრომული თვისებები და აქვთ ნუკლეინის მჟავებთან ინტერკალაციური ურთიერთქმედების უნარი. პოსტ დოკზე ჯაუფში იყო მიმართულება დაესინთეზირებინათ პეპტიდური ანტიბიოტიკი. მის სამუშაოს წარმოადგენდა პეპტიდური ანტიბიოტიკისათვის ა პეპტიდის დასინთეზება. ამჟამად მუშაობს ცნობილი რეაქციების ჩატარებაზე მწვანე ქიმიის მიდგომით, რაც დღესაც გრძელდება. ტარდება სამუშაოები - ცნობილი რეაქციებში სხვადასხვა ბიოკატალიზატორის გამოყენებაზე. სამომავლოდ გეგმავს დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და უკვე შექმნილი ელექტრონული სალექციო კურსების გამოყენებით, შექმნას სახელმძღვანელო ორგანულ ქიმიაში. მუშაობს ბაკალავრებთან, მაგისტრანტთან და დოქტორანტთან. გარდა ამისა არის დეპარტამენტის ხარისხის სამსახურის უფროსი.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და

საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან. შედეგების შეფასების ურთიერთშეჯერების შედეგად ვერ გამოიკვეთა გადამწყვეტი უპირატესობის მქონე კონკურსანტი და კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა საცდელი ლექციის მოსმენა რაც იქნება პრეტენდენტების სრულყოფილად შეფასების დამატებითი საფუძველი. (ოქმი #7) ლექციები ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული წესით. კომისიის წინაშე, 30 წუთის ხანგრძლივობით; სადემონსტრაციო საშუალება - დაფა.

კონკურსანტ **თინათინ ზუკიას** საცდელი ლექციის თემა - კარბონმჟავები; ლექციის ჩატარების დროს კონკურსანტი საუბრობს თავისუფლად, აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი, თუმცა გამოიკვეთა რიგი უზუსტობები და შეცდომები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აპლიკანტს მასალა არა აქვს სიღრმისეულად გააზრებული, კერძოდ ხარვეზები აქვს რეაქციის მექანიზმის ჩაწერისას, ხშირად არასწორად ხმარობს მოხრილ ისარს. კითხვებმა გამოავლინა, რომ არ ესმის რატომ ხდება ისეთი პროცესები, როგორც არის პროტონირება დეპროტონირება, რეზონანსი, დამტოვებელი ჯგუფის ელიმინაცია უპირატესად, რატომ არის პროცესი შექცევადი. რატომ ხდება საჭირო კარბონილური ნახშირბადის გააქტიურება  $H^+$ -ით

დაშვებული შეცდომები: კარბონმჟავების დისოციაცია ხდება ტუტე არეში. სპირტები ვერ ამყარებენ წყალბადურ ბმას. დამჟანგავ აგენტებს უწოდებს კატალიზატორებს. შეცდომებით წერს ნიტრილიდან კარბონმჟავების მიღების რეაქციის მექანიზმს. ვერ პასუხობს როგორ დაასახელებს ციკლურ მჟავებს (ოქმი 12).

კონკურსანტ **ელენე კაცაძის** საცდელი ლექციის თემა - მონოსაქარიდები. კონკურსანტი ე.კაცაძე საუბრობს თავისუფლად, ტერმინოლოგია გამართულია, აქვს კონტაქტი აუდიტორიასთან. ლექციის დამთავრების შემდეგ გამოიკვეთა დროის სწორი მენეჯმენტი. მან 30 წუთში ზოგადად მიმოიხილა: მონოსაქარიდები; ისაუბრა გლიცერინის ალდეჰიდზე; ქირალურ ნახშირბადზე; d და l აბსოლუტურ კონფიგურაციაზე, ენანტიომერებზე, პოლარიზებული სხივის ბრუნვაზე, როგორც ენანტიომერების განმასხვავებელ ფიზიკურ თვისებაზე; ეპიმერებზე; ახსნა ფიშერის და ჰევორსის პროექციები; აღნიშნა სტუდენტების მიერ ხშირად დაშვებული შეცდომა l კონფიგურაციის ჩაწერისას; სწორად დაასახელა საკმაოდ ბევრი ალდოჰექსოზის ტრივიალური სახელწოდება და ახსნა მათ შორის კავშირი; სრულყოფილად განიხილა ტუტე არეში ჰექსოზების ეპიმერიზაციის მექანიზმი.

კონკურსანტი რაციონალურად იყენებდა დაფას. ხელახლა არ დაუწერია სტუქტურა, რომელიც ლექციის მსვლელობისას განმეორებით სჭირდებოდა. დიდ სტრუქტურებს წერდა სწრაფად და ამავდროულად ხსნიდა, რითაც თავიდან იცილებდა მოსაწყენ პაუზებს. დაუშვა ორი მექანიკური შეცდომა. ერთ შემთხვევაში

ფიშერის პროექციაში ერთით ნაკლები ნახშირბადი დაწერა, მეორე შემთხვევაში  $\alpha$ -ფორმის გავრცელებაზე ეწერა 34%, რატომაც საერთო გავრცელებამ 100% გადააჭარბა. ეს შეცდომაც შენიშვნის მიცემისთანავე გაასწორა.

უპასუხა შეკითხვას  $\alpha$  და  $\beta$  ანომერების შესახებ და ისაუბრა მათი ამოცნობის რამოდენიმე ხერხზე. ამომწურავად გასცა პასუხი D გლუკოზის სავარძლის კონფორმაციის  $\beta$  ფორმის მდგრადობის შესახებ, ასევე როგორ აუხსნიდა სტუდენტს მარტივად  $\beta$ -D-გალაქტოპირანოზის სავარძლის კომფორმაციის სწორად ჩაწერას. ლექციის ჩატარების დროს იგრძნობა საგნის ღრმა ცოდნა, მომხსენებლის გამოცდილება და კომპეტენტურობა.

კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა დამაკმაყოფილებელი პასუხები გასცეს

საცდელი ლექციის მოსმენის შემდეგ გამოიკვეთა ელენე კაცაძის აშკარა უპირატესობა. მას აქვს საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო - სამეცნიერო პროფილს. გამოცდილი კადრია როგორც მოქალაქეობრივი ისე აკადემიური ღირებულებებით, რომლის მიღება საუნივერსიტეტო სივრცეში არის უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების ხელშემწყობი პირობა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს.

კონკურსის საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა (ოქმი (15).

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. კენჭისყრის შედეგებია: ე. კაცაძე - 4 ხმა; ე.კაცაძის წინააღმდეგი 0 ხმა; თ.ბუკიას მომხრე - 0 ხმა ; კომისიის ერთმა წევრმა თავი შეიკავა.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განპირობებულია ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის, როგორც სამეცნიერო - სასწავლო ერთეულის ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აკადემიურ საქმიანობას, სასწავლო-მეთოდური მუშაობის არსებულ მონაცემებს, გასაუბრებისა და საჩვენებელი ლექციის დროს გამოვლენილ კომპეტენციებს, პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

კომისიამ დაადგინა

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ბ“კატეგორიის ასოცირებული პროფესორის (ერთი სამტატო ერთეული) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ელენე კაცაძე**.


2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

კომისიის წევრების ხელმოწერა


1. მ.მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე)



2. გ.ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)



3. დ.ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)



4. მ.ციცაგი



5. გ.ჯიბუტი

